

სწავლის საფასური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია

ბხსუ-ში სწავლის საფასურის გადახდა რეგულირდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესით. http://batu.edu.ge/text_files/ge_file_312_1.pdf

- სწავლის საფასური არის უნივერსიტეტის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისი გადასახდელი, რომელსაც სტუდენტი (ან მისი წარმომადგენელი) იხდის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისათვის.
 - სწავლის საფასური სახელმწიფოს მიერ ანაზღაურდება იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც მოიპოვებენ სახელმწიფო სასწავლო გრანტს, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტს ან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოყოფილ პროგრამულ დაფინანსებას.
 - ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შემთხვევაში სტუდენტი იხდის განსხვავებას სასწავლო გრანტის ღირებულებასა და სწავლის საფასურს შორის.
 - სტუდენტი ვალდებულია სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რაც გულისხმობს მის მიერ უნივერსიტეტის მომსახურე ბანკში სწავლის საფასურის შეტანასა და დარეგისტრირებას სასწავლო სემესტრის დაწყებამდე.
 - ყოველი სასწავლო წლის (სემესტრის) დასაწყისში რექტორის ბრძანებით დგინდება ადმინისტრაციული რეგისტრაციის დრო და პერიოდულობა (ეტაპები). ბხსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება სემესტრული სწავლის საფასურის ნაწილ-ნაწილ სამ ეტაპად გადახდის შესაძლებლობა და ყოველ ეტაპზე გადასახდელი ოდენობა.
 - აბიტურიენტი/მაგისტრანტობის ან და მობილობას დაქვემდებარებული კანდიდატი, რომელიც მოიპოვებს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის უფლებას, ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებამდე გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.
-
- ✓ თუ სტუდენტი რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში არ გაივლის სწავლის საფასურის გადახდის ნებისმიერი ეტაპის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას - არ გადაიხდის იმ ეტაპისათვის განსაზღვრულ სწავლის საფასურის ოდენობას, რეგისტრაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.
 - ✓ სტუდენტს, რომელსაც წარდგენილი აქვს განცხადება სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში სწავლის საფასურის დაფინანსების მოპოვების მიზნით, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე არ შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ფინანსური დავალიანების გამო სტატუსი შეუჩერდება გადაწყვეტილების მიღებიდან 7 კალენდარული დღის შემდეგ.

✚ შეღავათები სწავლის საფასურში

ბხსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადით, თავისუფლდებიან:

- მშობლების მზრუნველობას მოკლებული სტუდენტები (დედ-მამით ობოლი);
- სტიქიური უბედურების ან/და ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახიდან მყოფი სტუდენტები;
- სოციალურად დაუცველი (დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე) და ოჯახის მარჩენალ (მამა) დაკარგული სტუდენტები.